ამალია შაყულაშვილი - ასოცირებული პროფესორი
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
ელ-ფოსტა: amaliashayulashvili@sjuni.edu.ge

განვითარებადი ქვეყნები: ეკონომიკური ზრდა, კრიზისი

შესავალი. განვითარებადი ქვეყნების მაკროეკონომიკურ პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ბევრი მათგანი მნიშვნელოვნად დამოკიდებილის ფინანსურ ნაკადებზე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სამამულო დონეზე ინვესტიციების განსახორციელებლად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ბევრი განვითარებადი ქვეყანა კვლავაც ინტენსიურად განაგრძობდა მდიდარი ქვეყნების დანაზოგებით სარგებლობას და შესაბამისად მათ მნიშვნელოვანი ვალი დაუგროვდათ. რადგან ბევრ განვითარებად ქვეყნაში ინტენსიურად მიედინებოდა ფინანსური ნაკადები განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყბენს მნიშვნელოვანი საგარეო ვალი დაუგროვდათ.

სიღარიბისა და სუსტი ფინანსური ინსტიტუტების გამო, განვითარებად ქვეყნებში ეროვნული დანაზოგების დონე ხშირად მეტად დაბალია. ეს ქვეყნები შედარებით ღარიბია კაპიტალით, მოსალოდნელია დეფოლტის პრობლემა.

კიდევ დიდ პრობლემას წარმოადგენს ის რომ, როდესაც განვითარებადი ქვეყნები იღებენ სესხს უცხოელებისაგან, ეს სესხი ხშირად გამოსახულია ძირითად უცხოურ ვალუტაში, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისაგან განსხვავებით, მდიდარი ქვეყნები ვალს თითქმის ყოველთვის თავიანთ ვალუტაში იღებენ.

მდიდარი ქვეყნების შესაძლებლობა, აიღოს საგარეო ვალი თავიანთ ვალუტაში და იმავდროულად, ფლობდნენ უცხოურ აქტივებს უცხოურ ვალუტაში, განვითარებული ქვეყნების მნიშვნელოვანი უპორატესობაა.

ძირითადი ტექსტი. სამამულო ვალუტის გაუფასურება იწვევს სიმდიდრის გადინებას უცხოელების მიმართულებით, წმინდა უცხოური ვალის სამამულო ვალუტის ღირებულების გაზრდით, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე.

თუმცა 1963 წელს ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში განხორციელებულმა ფართომაშტაბიანმა ეკონომიკურმა რეფორმამ- ,,იმპორტის ჩანაცვლების

სტრატეგია“, ექსპოტრზე ორიენტირებულმა სტრატეგიამ ჩაანაცვლა, რის შედეგადაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო, შედეგად 50 წლის მანძილზე სამხრეთ კორეის რეალური მსპ მოსახლეობის ერთ სულზე 16-ჯერ გაიზარდა.

მნიშვნელოვანია, რომ სამხრეთი კორეა გამონაკლისი არ ყოფილა, მისი ეკონომიკური წარმატება აღმოსავლეთ აზიის რამდენიმე სხვა ქვეყანამაც გაიზიარა. წარმატებას მიაღწიეს ისეთმა განვითარებადმა ქვეყნებმა როგორიცაა ჰონგკონგი, ტაივანი და სინგაპური.

1970-80 იან წლებში, სწრაფად მზარდ აზიური ეკონომიკის რიცხოვნებას დაემატა მალაიზია, ტაილანდი, ინდონეზია და მსოფლიოს ყველაზე მაღალრიცხოვანი ქვეყანა ჩინეთი.

მიუხედავად გამოშვების ზრდის მაღალი მაჩვენებლებისა, ინფლაციისა და ბიუჯეტის დეფიციტის დაბალი დონეებისა, აღმოსავლეთი აზიის რამოდენიმე ძირითადი განვითარებადი ქვეყანა მწვავე პანიკამ მოიცვა და ვალუტის მძლავრი გაუფასურება განიცადა.

ყველაზე მძიმე მდგომარეობა კრიზისის დროს მაშინ იყო როდესაც ეკონომიკური კრიზისი და პოლიტიკური არასტაბილურობა ერთმანეთს ამძაფრებდა განვითარებად ქვეყნებში. სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის ფაქტი რომ სამამულო რეზიდენტებმა ქვეყნის ბანკების მიმართ ნდობე დაკარგეს. მაგრამ კრიზისგადავლილ აზიაში ვალუტები დასტაბილურდა და სარგებლის განაკვეთები შემცირდა, რაც უმეტესწილად გამოწვეული იყო არა ექსპორტის ზრდით არამედ იმპორტის მკვეთრი შემცირებით.

როგორც ანალიზიდან ჩანს მსოფლიო შემოსავლებისა და კეთილდღეობის დონეებს შორის მკვეთრი განსხვავებაა. არ მომხდარა ტენდენცია, რომ ღარიბი ქვეყნების შემოსავლები მდიდარი ქვეყნების შემოსავლების მაჩვენებელს თუნდაც ნელი ტენპით უახლოვდებოდეს.

ეკონომიკური ზრდის ჩვეულებრივი მაკროეკონომიკური მოდელების მიხედვით ქვეყნების რეალური შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით დამოკიდებულია მათ ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალზე, რადგან ინვესტიციების მაღალი ზღვრული პროდუქტი ძლიერი მოტივია კაპიტალის დაგროვებისთვის. მათ შორის უცხოეთიდან კაპიტალის შემოდინების ჩათვლით.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საშუალოდ უცხოური კაპიტალი არაა ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა. ყველაზე სწრაფი ზრდით გამოირჩევიან ქვეყნები, რომლებიც ძირითადად სამამულო დანაზოგებს ეყრდნობიან და მიმდინარე ანგარიშის მცირე დეფიციტი ააქვთ. მაგ: ჩინეთს, ზოგადად დანაზოგების მაღალი დონე გააჩნიათ.

ბევრ ღარიბ ქვეყნებს სუსტი ფინანსური სისტემები აქვთ, რომლებსაც კრიზისის მაღალი რისკის გარეშე დიდი ოდენობით ფინანსური ნაკადების მიღება არ შეუძლიათ. შესაბამისად ეკონიმიკური ზრდის თვალსაზრისით უპირეტესობა იმ ქვეყნების მხარესაა, რომლებშიც დანაზოგები მაღალია. ასეთი ქვეყნები ხშირად უცხოური ინვესტიციების ნმიშვნელოვან ნაკადებს იღებენ, მაგრამ მათი დანაზოგები იმდენად მაღალია, რომ მაინც მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე ააქვთ.

დაკვირვებიდან ჩანს, რომ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპით ზრდის საერთო მახასიათებელია დანაზოგისა და ინვესტიციის მაღალი დონე, განათლების სწრაფად მზარდი დონე, შედარებით დაბალი ინფლაცია, მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციისა და გახსნილობის მაღალი ხარისხი. ფაქტია რომ ყველაზე სწრაფად მზარდი აზიური ქვეყნები ინვესტიციების დაფინანსებას სამამულო დანაზოგებიდან ახორციელებენ.

განვითარებად ქვეყნებში კარგი საინვესტიციო შესაძლებლობებია რადგან მათ გააჩნიათ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და მდიდარი ქვეყნებისაგან ეცდებიან სესხის აღებას. სესხის აღებას განვითარებადი ქვეყნების მხრიდან შეუძლია, როგორც მსესხებლის ასევე გამსესხებლის მდგომარეობა გააუმჯობესოს (კრუგმანი. 2017: 674).

აღსანიშნავია რომ ოცდა მეერთე საუკუნეში კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები შემდეგნაირად გამოიყურება: კაპიტალის ნაკადები არა მხოლოდ მიედინება მდიდარი ქვეყნებიდან ღარიბი ქვეყნებისაკენ საკმარისი ოდენობით, არამედ ფაქტიურად პიროქით ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარი ქვეყნებისაკენ იყო მიმართული. ეს ხდებოდა იმის გამო, რომ ღარიბ ქვეყნები ადამიანური კაპიტალის, მაღალკვალიფიციური მუშახელის, მმართველობითი ნოუჰაუს დეფიციტში მდგომარეობდა. არ ხერხდებოდა განვითარებად ქვეყნებში საკუთრების დაცვა და სახელმწიფო სტაბილურობა.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში მთავრობის კონტროლისაგან, გადასახადებისაგან და რეგულაციებისაგან თავის არიდების მცდელობებმა კორუფციული პრაქტიკის ჩამოყალიბებას, მექრთამეობას და გამომძალველობას შეუწყო ხელი. რაც კორუფციისა და სიღარიბის დონის მატებას ნიშნავს.

აღსანიშნავია რომ ქვეყანაში, რომლის წლიური ზრდის ტემპი 3% შეადგენს მოსახლეობის ერთ სულზე, შემოსავალი ყოველი თაობის შემდეგ გაორმაგდება. მაგრამ ზრდის ისეთი ტემპი, როგორსაც აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა (ჰონკონგი, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაივანი) მიაღწიეს ყოველი თაობის შემდეგ რეალური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე 5 ჯერ და უფრო მეტად გაიზრდება.

პასუხი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური მახასიათებლებიდან გამიმდინარეობს. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ეს ქვეყნები შეიცვალენ დროთა განმავლობაში როგორც მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების, ასევე, სამამულო ფაქტორების ზეგავლენით.

რადგან განვითარებადი ქვეყნების ჯგუფი მრავალფეროვანია, ბევრმა მათგანმა ფართომაშტაბიანი ეკონომიკური რეფორმა განახორციელა. ბევრ განვითარებად ქვეყანას მრავალი მახასიათებლიდან ერთ-ერთი მაინც გააჩნია.

განვითარებადი ქვეყნების სტრუქტურული მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ წარმატებას მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევაში, როგორიცაა: ინფლაციისა და უმუშევრობის დაბალი დონეები, ფინანსური სექტორის სტაბილურობა და სხვა.

დანაზოგებისა და ინვესტიციების ყველეზე მაღალი მაჩვენებელია აზიის ახალ ინდუსრტიულ ქვეყნებში -(სინგაპური, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, ტაივანი)- 24-35%. ზომიერი მაჩვენებელი განვითარებადი ქვეყნებისათვის და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი (21-27%).

კაპიტალის მიმწოდებლად ითვლება იზიია ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, ხოლო განვითარებული ქვეყნები სესხის მიმღებთა რიცხვს მიეკუთვნებიან. ე.ი. ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა, კაპიტალის წმინდა იმპორტიორიდან კაპიტალის წმინდა ექსპორტიორად გარდაიქმნენ.

მსოფლიო მეურნეობაში დანაზოგებისა და ინვესტირების ნორმა 23-24 %-ს შეადგენს. განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 20-21%-ს შეადგენს. განაზოგების და ინვესრიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია- აზიის ახალ

ინდუსტრიულ ქვეყნებში, ზომიერი მაჩვენებელი განვითარებადი ქვეყნებისათვის და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი (გუროვა. 2014: 228).

სტანდარტული მოდელის მიხედვით, ღარიბ ქვეყნებს უფრო სწრაფი ზრდის ტენდენცია ექნებათ ვიდრე მდიდარ ქვეყნებს, თუ ღარიბი ქვეყნებისათვის ხელმისაწვდომია იგივე ტექნოლოგია, რომელსაც მდიდარი ქვეყნები იყენებენ, მაშინ ისინიც გამდიდრდებიან.

ფაქტიურად ინვესტიციების რისკი ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ამ ქვეყანაში არსებული ზრდის არასახარბიელო მაჩვენებელს, ამცირებს მათ მიმზიდველობას, როგორც უცხოელი, ასევე სამამულო ინვესტორებისათვის. როდესაც მთავრობას არ სურს ან არ შეუძლია დაიცვას საკუთრების უფლებები, ინვესტორებს ფიზიკურ ან ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების განხორციელების სურვილი არ ექნებათ, შესაბამისად ეკონომიკური ზრდაც არ იქნება ან ძალიან დაბალი დონის იქნება.

როგორ შეიძლება იმ ფაქტის ახსნა, რომ ზოგიერთი ქვეყანა ძალიან მდიდარეა, ხოლო ზოგმა ინვესტიციის მოზიდვა შეძლო და კვლავ უკიდურესად ღარიბები არიან? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეკონომიკური აზიის ორი მთავარი სკოლა ქვეყნების გეოგრაფიულ მახასიათებლებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებზე მიუთითებს.

კალიფორნიის ლოს ანჯელესის უნივერსიტეტის გეოგრაფიული თეორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერის გეოგრაფ ჯერარდ დაიმონდის მტკიცებით, ქვეყნის ფიზიკური გარემოს ისეთი ასპექტები, როგორიცაა კლიმატი, ნიადაგის ტიპი, დაავადებები და გეოგრაფიული მდებარეობა, მის გრძელვადიან ეკონომიკურ შედეგებს განაპირობებენ; მაგალითად: არახელსაყრელი კლიმატის, ყვითელი ცხელებისა და მალარიის გამო ტროპიკული რეგიონები ჩამორჩებიან ევროპის ზომიერთ რეგიონებს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში (კრუგმანი. 2017: 703).

ღარიბ ქვეყნებში ადამიანური კაპიტალის, მაღალკვალიფიციური მუშახელის, მმართულებითი ნოუ ჰაუს დაფიციტში მდგომარეობს. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საკუთრების უფლებების დაცვას და სახელმწიფოს

სტაბილურობას ღარიბ ქვეყნებში. ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, უპირეტესობა იმ ქვეყნების მხარესაა, რომლებშიც დანაზოგები მაღალია.

გეოგრაფიულ თეორიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო ვაჭრობაზე წვდომა. ქვეყნები რომლებსაც მხოლოდ სახმელეთო საზღვრები გააჩნიათ ნაკლებს ვაჭრობენ დანარჩენ სამყაროსთან ვიდრე ქვეყნები, რომლებსაც კარგი პორტები და ადვილად გადასაადგილებელი ავტომაგისტრალები აქვთ. რადგენ სახელმწიფო ინსტიტუტები გადამწყვეტი ფაქტორია ეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირებისათვის, აუცილებელია მთავრობის მიერ კერძო საკუთრების დაცვის, კერძო საწარმოების, ინვესტიციების, ინოვაციების ხელის შეწყობა, რაც ერთ-ერთი ფაქტორის ქვეყანაში კორუფციის დაბალ დონესა და მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების დონეს შორის. კორუფციის დაბალი დონე იწვევს ნდობის ამაღლებას ინვესტორებში და პროდუქტიულ ეკონომიკურ აქტივობებს უწყობს ხელს, უზრუნველყოფს ინვესტორებს მათი შრომის შედეგის შენაჩუნებით.

დასკვნა. შეიძლება დავასკვნათ, რომ გეოგრაფია განსაზღვრავს შემოსავლის დონეს და ინსტიტუტების არსებობას, რადგან ინსტიტუტებზე ძირითადად ადამიანური კაპიტალი ზემოქმედებს, ე.ი. დაგროვილი ცოდნა და განათლების დონე, მოსახლეობის განათლების დონის ზრდისას თვით ავტორიტარული დიქტატურის შემთხვევეშიც კი შეიძლება დამკვიდრდეს დემოკრატია და საკუთრების უფლებები. სწორედ ასე მოხდა სამხრეთ კორეაში, კორეაში შემდგომი ეკონომიკური ზრდა შესაძლოა სწორედ ევროპელი კოლონიზატორების ადამიანურმა კაპიტალმა გამოიწვია და არა მათ მიერ ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბებამ. ე.ი აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მაღალი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მიზეზია განათლების სფეროში განხორციელებული დიდი ინვესტიციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საერთაშორისო ეკონომიკა (თეორია და პოლიტიკა), პოლ რ. კრუგმანი, მაურის ობსტფელდი, მარკ ჯ.მელიტცი. ივ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2017წ.

2. ი.პ. გუროვა მსოფლიო ეკონომიკა, თბილისი 2014წ

3. განვითარებადი აზიის ეკონომიკური ზრდა 2020 წელს მხოლოდ 0,1 %, აზიის განვითარების ბანკი, 2020 წ. https://www.adb.org/ka/news/developing-asia-grow-just-0-1-2020-adb
4. D.C. Peterson, Institute for International Economics, 2009

Amalia Shakulashvili - Associate Professor
LEPL Samtskhe-Javakheti State University,
The Faculty of a Business Administration
e-mail: amaliashayulashvili@sjuni.edu.ge

Developing Countries: Economic Growth, Crisis

An Abstract

The paper discusses macro-economic problems of the developing countries, the influence of the developed world, determinants of the economic growth in the developing countries and the specific problems faced by the economics of the developing countries. The poverty is the main problem faced by the developing countries and the main challenge of their economics and politics is to overcome such a dilemma. Unlike industrial developed countries, the majority of the developing countries has lack of industrial factors, assets and qualified labor. The lack of the mentioned factors leads to the low level of the income per capita hindering economic growth of the developing countries. Political instability, absence of the warranties and improper economic politics often are the preventive factors for investments. One of the greatest problems of the country is the difference between incomes of the countries, why the some countries become rich and others experience stagnation.

Key words: Economic growth, dilemma of poverty, economic crisis, default